საკონსულტაციო მომსახურეგები (წყლისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურისათვის)

ვადა: 2022 წლის 20 იანვარი

ქვეყანა: საქართველო

№: ***(BMZ-2014 68 685; 2017 68 332)***

შესყიდვის №: 507638

პრეკვალიფიკაცია

დასახელება: გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესებისათვის კომუნალური ინფრასტრუქტურის ღია საერთაშორისო ტენდერი. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოწყობა, მათ შორის, დეტალური პროექტი, ტენდერის გამოცხადება და ზედამხედველობა.

დამკვეთი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

პროექტის ღონისძიებები: პროგრამა „გარემოსა და ტურიზმის კომუნალური ინფრასტრუქტურა“ მიზნად ისახავს საქართველოს შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ეკოლოგიურად სუფთა კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას/მოწყობას. პროგრამას საფუძვლად უდევს კომპლექსური მიდგომა, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურას, არამედ სხვა კომუნალურ ინფრასტრუქტურას, როგორიცაა ქუჩების ენერგოეფექტური გზით განათება, სანიაღვრე წყლების მართვა, ურბანული მიწათსარგებლობის დაგეგმარება და გზების რეაბილიტაცია. პროგრამის მიზანია კომუნალური მომსახურებების მიწოდების გაუმჯობესება ეკოლოგიური, ენერგოეფექტური, მდგრადი და ეფექტიანი გზით.

ამგვარად პროგრამა ხელს შეუწყობს გარემოს დაცვასა და წყლის რესურსების კონსერვაციას, რასაც დადებითი ზემოქმედება ექნება სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე (ტურიზმის განვითარებით), ასევე, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და შეამცირებს სიღარიბეს.

მოთხოვნილი მომსახურებები: მომსახურებები დაყოფილია ორ ლოტად. პირველ ლოტში შედის სტეფანწმინდა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, ხოლო მეორეში - იმერეთის რეგიონი (ორივე ზონის თანმხლები ღონისძიებებით).

წინამდებარე პრეკვალიფიკაცია ეხება **პირველი ლოტის ხელახალ გატენდერებას** შემდეგი სამუშაოების მოცულობით:

- არსებული ინფორმაციის, მათ შორის, გენერალური გეგმებისა და კვლევების, წინათ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების გადახედვა;

- არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მიხედვით, პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების გადახედვა, პროექტის განხორციელებისათვის პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების განსაზღვრა (შედეგების მატრიცა / ლოგიკური ჩარჩო). მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში (ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება) პროექტის წვლილის შეფასება, ასევე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება; გარემოსა და რესურსების დაცვის გაძლიერების, დასაქმების ხელშეწყობის, ეკონომიკური განვითარებისა და გენდერული ასპექტების გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა და მათი შედარება არსებულ მდგომარეობასთან;
- არსებული ფინანსური სახსრებით პროექტის განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ შეთანხმების შემდეგ: ჩაუტარებელი მოსამზადებელი კვლევებისა და სამუშაოები, მაგალითად, ჰიდროგეოლოგიური, გეოტექნიკური, გეოდეზიური და სხვ. კვლევების, ასევე, საველე და ლაბორატორიული კვლევების, საძირკვლის კვლევების, მასალების ტესტირების/კვლევების, მასალების სიძლიერის პარამეტრებისა და სტაბილურობის ანალიზის, რომლებიც საჭიროა დეტალური პროექტირებისათვის, ჩატარება.
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციურად დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის გამოვლენისათვის. ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმის მომზადება;
- ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგი გეგმის მომზადებასთან, ასევე, მშენებლობის დროს სამუშაო ადგილას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე, სამუშაო პირობების შემოწმებასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების სამუშაო უნარების მოკვლევა და ხარვეზების ანალიზი, ასევე, განსახლების მოდელების (თუ საჭირო იქნება განსახლება) მოკვლევა;
- ყველა ფაზის კონცეპტუალური, შემდეგ კი დეტალური პროექტის დამუშავება;
- სატენდერო დოკუმენტების მომზადება (FIDIC სტანდარტი), დამკვეთის დახმარება შესყიდვების დროს;
- მშენებლობის ზედამხედველობა და პროექტის დეფექტების ცნობის პერიოდში დამკვეთის დახმარება.

მეორე ლოტის საკონსულტაციო მომსახურებები (რომლებიც მალე გაფორმდება) მსგავს სამუშაოებს გულისხმობს იმერეთის რეგიონში და დამატებით მოიცავს თანმხლებ ღონისძიებებს, როგორც პირველი, ასევე, მეორე ლოტისათვის.

გამოცდილი კონსულტაციების პრეკვალიფიკაცია ექვემდებარება „სახელმძღვანელო ინსტრუქციებში“ მოცემულ რეგულაციებს. „სახელმძღვანელო ინსტრუქციები“ ნიშნავს „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურებების, სამუშაოების, საქონლის, ნაგებობებისა და არასაკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვის სახელმძღვანელო ინსტრუქციები“, 2019 წ. ვერსია (განახლებულია 2021 წლის 1 იანვარს), ხელმისაწვდომია შემდეგ გმულზე: www.kfw-entwicklungsbank.de. თითოეული კონტრაქტი გაფორმდება დამოუკიდებელ ფირმასთან ან კონსულტანტების ერთიან საწარმოსთან, რომელსაც ექნება გამოცდილება კომუნალური ინფრასტრუქტურის, წყლისა და წყალარინების სექტორში და მისი წლიური ბრუნვა შეადგენს 6 მილიონ ევროზე მეტს.

ვიწვევთ კომპანიებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო პირველ პრეკვალიფიკაციაში ან მეორე ლოტის პრეკვალიფიკაციაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მიმართოთ ტენდერების აგენტს:

ბ-ნ დ. განტი

მულინ დ’არესი

12120 ცენტრე

საფრანგეთი

ელ. ფოსტა: dwg72003@gmail.com

Cc: info.procurement@water.gov.ge

ტელ.: +33 5 65 72 39 59